

„დამტკიცებულია“

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2018 წლის _____ იანვრის
N_____ ბრძანებით

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული
ქვეპროგრამის „ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული
სტუდენტებისათვის“ ფარგლებში კონკურსის ჩატარების წესისა
და პირობების შესახებ

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. აღნიშნული დებულება არეგულირებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“ ფარგლებში კონკურსის ჩატარების წესსა და პირობებს.
2. ქვეპროგრამის „ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“ ფარგლებში სტუდენტთა შერჩევა ხდება კონკურსის მეშვეობით.
3. კონკურსს ატარებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური (შემდგომში - სამსახური).
4. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს (შემდგომში - კონკურსანტი), თუ ის აკმაყოფილებს აღნიშნული დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
5. ქვეპროგრამა „ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“ ითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ, ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ იმ საუკეთესო შედეგების მქონე 50 სტუდენტზე ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდიის გაცემას, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის მომენტისათვის რეგისტრირებულნი არიან ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მიღებული აქვთ დადებითი შეფასება (A)-ფრიადი (91 ქულა და მეტი) იმავე საფეხურის წინა სემესტრის საშუალო აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად.
6. აკადემიური მოსწრების გამოთვლა ხდება უმაღლესი სასწავლებლის მიერ მოწოდებული დოკუმენტის საფუძველზე, საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით, დამრგვალების გარეშე.

მუხლი 2. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სწავლის სტიმულირება.

მუხლი 3. კონკურსანტები და მათი შერჩევის წესი

1. ქვეპროგრამით „ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“ დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, სტიპენდიის გაცემის დროს პირველ ეტაპზე განიხილება იმ კონკურსანტთა დაფინანსების საკითხი, რომლებიც სწავლობენ შემდეგ საგანმანათლებლო მიმართულებებზე/დარგებზე/სპეციალობებზე:

- ა) ინჟინერია (მშენებლობა);
- ბ) არქიტექტურა;
- გ) ეკოლოგია/გარემოსმცოდნეობა;
- დ) კულტურული მემკვიდრეობა;
- ე) რესტავრაცია/კონსერვაცია;
- ვ) არქეოლოგია;
- ზ) განათლების მეცნიერებები;
- თ) მასწავლებლის განათლება.

2. თუ პირველი ეტაპზე ვერ შეირჩა 50 საუკეთესო შედეგების მქონე სტუდენტი, დარჩენილ ვაკანტურ ადგილებზე, ამ ქვეპროგრამით დადგენილი კრიტერიუმების დაცვით, მოხდება სხვა დანარჩენ საგანმანათლებლო მიმართულებებზე/დარგებზე/სპეციალობებზე ჩარიცხულ საუკეთესო შედეგების მქონე სტუდენტთა შერჩევა.

3. სტიპენდია არ გაიცემა აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის მერვე სემესტრისა და მეორე საფეხურის მეოთხე სემესტრის საშუალო აკადემიური მოსწრების დოკუმენტების საფუძველზე.

4. თუ აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სტუდენტის წინა სემესტრის საშუალო აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად ორ ან მეტ სტუდენტს მიღებული აქვს თანაბარი ქულა, თანხა გაიცემა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების აბსოლუტური ქულების ჯამით რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე რეიტინგის მიხედვით.

5. თუ ერთიან ეროვნულ გამოცდაზე აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ორ ან მეტ სტუდენტს მიღებული აქვს თანაბარი აბსოლუტური ქულების ჯამი, სტიპენდია გაიცემა შემდეგი თანმიმდევრობის დაცვით:

- ა) ერთიან ეროვნულ გამოცდაზე ზოგადი უნარების გამოცდაში მიღებული უფრო მაღალი სკალირებული ქულის შესაბამისად;
- ბ) ერთიან ეროვნულ გამოცდაზე ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაში მიღებული უფრო მაღალი სკალირებული ქულის შესაბამისად;
- გ) ერთიან ეროვნულ გამოცდაზე უცხოური ენის გამოცდაში მიღებული უფრო მაღალი სკალირებული ქულის შესაბამისად.

6. თუ ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ ორ ან მეტ სტუდენტს წინა სემესტრის საშუალო აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად მიღებული აქვს თანაბარი ქულა, სტიპენდია გაიცემა იმ სტუდენტზე, რომელსაც სამაგისტრო პროგრამებზე მისაღებ გამოცდაზე სპეციალობაში მიღებული აქვს უფრო მაღალი შეფასება.

7. თუ სამაგისტრო პროგრამებზე მისაღებ გამოცდაზე სპეციალობაში ორ ან მეტ სტუდენტს მიღებული აქვს თანაბარი ქულები, სტიპენდია გაიცემა იმ სტუდენტზე, რომელსაც სამაგისტრო გამოცდაზე ზოგადი უნარების გამოცდაში მიღებული აქვს უფრო მაღალი სკალირებული ქულა.

8. თუ ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ ორ ან მეტ სტუდენტს, წინა სემესტრის საშუალო აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად, მიღებული აქვს თანაბარი ქულა, სტიპენდია გაიცემა იმ სტუდენტზე, რომელსაც უმაღლეს სასწავლებელში ჩასარიცხად, მისაღებ გამოცდაზე, ზოგადი უნარების გამოცდაში მიღებული აქვს უფრო მაღალი სკალირებული ქულა.

მუხლი 4. სტიპენდიის ოდენობა

საუკეთესო შედეგის მქონე 50 კონკურსანტი, რომელთა საშუალო აკადემიური მოსწრების ქულა არის 91 და მეტი, ამ დებულებით დადგენილი პირობების დაცვით, მიიღებს

ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდიას თვეში 200 ლარის ოდენობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით.

მუხლი 5. სტიპენდიის მისაღებად საჭირო დოკუმენტთა ნუსხა

1. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სტუდენტმა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში (შემდგომში - მერია) უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- ა) განცხადება;
 - ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;
 - გ) 2 ფერადი ფოტოსურათი (3×4);
 - დ) მოქალაქის საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
 - ე) ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლის მიერ გაცემული ცნობა სტუდენტის ჩარიცხვის თარიღის, ფაკულტეტის, სპეციალობისა და კურსის მითითებით;
 - ვ) ცნობა შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლიდან სტუდენტის წინა სემესტრის შედეგების შესახებ;
 - ზ) ინფორმაცია სტუდენტის მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული შეფასების შესახებ - თუ განმცხადებელი ბაკალავრია;
 - თ) ინფორმაცია საერთო სამაგისტრო პროგრამებზე მისაღებ გამოცდაზე სპეციალობაში და ზოგად უნარებში მიღებული შეფასების შესახებ - თუ განმცხადებელი მაგისტრანტია.
2. მერია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

მუხლი 6. განაცხადების მიღების ვადები

1. 2017-2018 სასწავლო წლის პირველი სემესტრის განმავლობაში მიღებული შეფასებების მიხედვით სტიპენდიების მისაღებად განაცხადების მიღება იწარმოებს 2018 წლის 26 თებერვლიდან 30 მარტის ჩათვლით, 09:00 საათიდან - 18:00 საათამდე.

2. 2017-2018 სასწავლო წლის მეორე სემესტრის განმავლობაში მიღებული შეფასებების მიხედვით სტიპენდიების მისაღებად განაცხადების მიღება იწარმოებს 2018 წლის 24 სექტემბრიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით, 09:00 საათიდან - 18:00 საათამდე.

მუხლი 7. კონკურსის ეტაპები

1. კონკურსი მოიცავს ორ ეტაპს:
 - ა) დოკუმენტების მიღება - პირველი ეტაპი;
 - ბ) დოკუმენტების განხილვა - მეორე ეტაპი.
2. დოკუმენტების მიღებას აწარმოებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის საქმისწარმოების განყოფილება (მისამართი: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25).
3. რეგისტრირებული დოკუმენტაცია განსახილველად გადაეცემა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის განათლებისა და კულტურის განყოფილებას (შემდგომში - განყოფილება).
4. განყოფილება შეისწავლის დოკუმენტაციას და შეჰყავს ინფორმაცია კონკურსანტთა რეესტრში (შემდგომში - რეესტრი).
5. რეესტრში ცალ-ცალკე აისახება იმ კონკურსანტთა მონაცემები, რომლებიც სწავლობენ პრიორიტეტულ მიმართულებებზე/დარგებზე/სპეციალობებზე და ცალკე - იმ კონკურსანტთა მონაცემები, რომლებიც სწავლობენ სხვა დანარჩენ საგანმანათლებლო მიმართულებებზე/დარგებზე/სპეციალობებზე.
6. არასრული დოკუმენტაციის/მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, განყოფილება აცნობებს კონკურსანტს აღნიშნულის შესახებ განცხადებაში მითითებული საკომუნიკაციო საშუალების მეშვეობით და აძლევს 5 სამუშაო დღეს ხარვეზის გამოსასწორებლად.

7. თუ კონკურსანტი არ გამოასწორებს ხარვეზს, განყოფილება არ განიხილავს კონკურსანტის განაცხადს.

მუხლი 8. გადაწყვეტილების მიღების წესი და სტიპენდიების გაცემა

1. განყოფილება, შემოსული განაცხადების განხილვის შედეგად, განაცხადების მიღების ვადის ამოწურვიდან 15 დღის ვადაში გამოავლენს საუკეთესო შედეგების მქონე კონკურსანტებს.

2. კონკურსის შედეგების თაობაზე დგება აქტი, რომელსაც ხელს აწერს განყოფილების უფროსი და განყოფილების უფროსი სპეციალისტი. აქტს ამტკიცებს სამსახურის უფროსი.

3. სამსახურის უფროსი, კონკურსის შედეგების შესახებ ინფორმაციას, აქტის დამტკიცებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა, წარუდგენს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს.

4. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი, კონკურსის შედეგების შესახებ ინფორმაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, გამოსცემს ბრძანებას კონკურსში გამარჯვებულ პირებზე სტიპენდიის გაცემის თაობაზე. აღნიშნული ინფორმაცია ქვეყნდება მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.batumi.ge.

5. სამსახური, ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა, მერიის საფინანსო სამსახურს უგზავნის მოხსენებით ბარათს კონკურსში გამარჯვებულ პირებზე სტიპენდიის გაცემის მოთხოვნით. მოხსენებით ბარათს თან უნდა დაერთოს კონკურსში გამარჯვებულ პირთა პირადობის მოწმობის ასლები და მათი საბანკო რეკვიზიტები.

6. კონკურსში გამარჯვებულ პირებზე 2017-2018 სასწავლო წლის პირველი სემესტრის განმავლობაში მიღებული შეფასებების მიხედვით, სტიპენდიები გაიცემა არაუგვიანეს 2018 წლის მაისის თვისა და ერთობლივად მოიცავს 4 სასწავლო თვეს.

7. კონკურსში გამარჯვებულ პირებზე 2017-2018 სასწავლო წლის მეორე სემესტრის განმავლობაში მიღებული შეფასებების მიხედვით, სტიპენდია გაიცემა არაუგვიანეს 2018 წლის ნოემბრისა და ერთობლივად მოიცავს 6 სასწავლო თვეს.